

სს ასია სოფთვეარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება...	5
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. ძირითადი საშუალებები	8
5. ინვესტიციები	9
6. მარაგები	9
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	9
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9
10. სხვა ხარჯები	10
11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	10
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგომი მოვლენები	11
13. პირობითი ვალდებულებები	11
14. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11

სს ასია სოფთვეარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,313,503	15,174,514
არამატერიალური აქტივები		8,880	1,542
ინვესტიცია	5	10,269,622	8,751,000
		13,592,005	23,927,056
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	384,536	1,165,439
წინასწარ გაწეული ხარჯები		84,869	85,182
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	801,857	329,618
გადახდილი ავანსები		9,568	448,491
ფული და ფულის ექვივალენტები	8	93,667	292,787
		1,374,497	2,321,515
სულ აქტივები		14,966,502	26,248,573
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		12,000,000	12,000,000
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		839,353	(1,074,983)
გადაფასების ნამეტი		-	2,318,959
		12,839,353	13,243,976
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსი		-	1,229,688
სახელფასო ვალდებულება		83	59,067
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,074,762	2,843,062
საგადასახადო ვალდებულებები		52,304	121,780
ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	5	-	8,751,000
		2,127,149	13,004,597
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,966,502	26,248,573

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ სოფიკო ლუტიძე

დირექტორი _____ გოჭბერქ თამაჩ

7 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს ასია სოფთვეარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,313,503	15,174,514
არამატერიალური აქტივები		8,880	1,542
ინვესტიცია	5	10,269,622	8,751,000
		13,592,005	23,927,056
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	384,536	1,165,439
წინასწარ გაწეული ხარჯები		84,869	85,182
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	801,857	329,618
გადახდილი ავანსები		9,568	448,491
ფული და ფულის ექვივალენტები	8	93,667	292,787
		1,374,497	2,321,515
სულ აქტივები		14,966,502	26,248,573
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		12,000,000	12,000,000
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		839,353	(1,074,983)
გადაფასების ნამეტი		-	2,318,959
		12,839,353	13,243,976
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსი		-	1,229,688
სახელფასო ვალდებულება		83	59,067
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,074,762	2,843,062
საგადასახადო ვალდებულებები		52,304	121,780
ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	5	-	8,751,000
		2,127,149	13,004,597
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,966,502	26,248,573

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



სოფიკო ლუტიძე

დირექტორი



გიორგი თამაზ

სს ასია სოფთეუარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
საოპერაციო შემოსავალი			
პროგრამული უზრუნველყოფიდან მიღებული შემოსავლები		930,867	541,497
აპარტამენტების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლები		31,594	231,666
გასართობი ცენტრიდან მიღებული შემოსავლები		273,681	1,470,705
ავტოსადგომიდან მიღებული შემოსავლები		187,728	197,970
სხვა შემოსავალი		101,427	46,005
		<u>1,525,297</u>	<u>2,487,843</u>
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასი		(576,966)	(612,974)
ცვეთა		(848,013)	(946,714)
იჯარა		(334,710)	(874,483)
კომუნალურები		(24,179)	(75,933)
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(327,306)	(607,661)
წილის გაყიდვიდან მიღებული ზარალი		<u>(789,883)</u>	<u>-</u>
საოპერაციო ზარალი		<u>(1,375,760)</u>	<u>(629,922)</u>
საკუროს სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი), ნეტი		971,137	(11,379)
ზარალი დაბეგვრამდე		<u>(404,623)</u>	<u>(641,301)</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი		<u>(404,623)</u>	<u>(641,301)</u>
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგება ან ზარალში:			
გადაფასებიდან მიღებული მოგება	4	-	2,318,959
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		<u>(404,623)</u>	<u>1,677,658</u>
შემოსავლები ერთ აქციაზე:			
საბაზისო შემოსავალი (ზარალი) ერთ აქციაზე		(0.033)	0.14

7 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს ასია სოფთვეარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების ნამეტი	გაუნაწილებელი მოგება /(დაუფარავი ზარალი)	ჯამი
31 დეკემბერი 2018	12,000,000	-	(433,682)	11,566,318
გადაფასების ნამეტი	-	2,318,959	-	2,318,959
მთლიანი სრული ზარალი	-	-	(641,301)	(641,301)
31 დეკემბერი 2019	12,000,000	2,318,959	(1,074,983)	13,243,976
გადაფასების ნამეტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე	-	(2,318,959)	2,318,959	-
მთლიანი სრული ზარალი	-	-	(404,623)	(404,623)
31 დეკემბერი 2020	12,000,000	-	839,353	12,839,353

7 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს ასია სოფთეუარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		3,397,755	5,501,974
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები		(2,914,377)	(4,484,754)
გადახდილი გადასახადები		(669,491)	(786,575)
სხვა		(12,602)	(20,313)
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება (გაძინება) საოპერაციო საქმიანობიდან		(198,715)	210,332
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
მიღებული პროცენტი		299	289
გადახდილი პროცენტი		-	(8,522)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოძინება (გაძინება) საინვესტიციო საქმიანობიდან		299	(8,233)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხის დაფარვა		-	(175,937)
სესხის მიღება		-	125,000
წმინდა ფულადი ნაკადების გაძინება საფინანსო საქმიანობიდან		-	(50,937)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ზრდა (შემცირება) ზრდა		(198,416)	151,163
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	8	292,787	114,305
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე		(704)	27,320
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	8	93,667	292,787

7 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს "ასია სოფთვეარ" დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს ბათუმში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. ორგანიზაცია დაარსდა 2016 წლის 7 ივლისს.

ორგანიზაციის 100%-იანი მფლობელი არის სს ატლას იაზილიმ ვე ბილიშიმ ჰიზმეთლერი თიჯარეთ. კომპანიის დირექტორებ არიან: სოფიკო ლუტიძე და გოქბერქ თამაჩ.

ორგანიზაციის საქმიანობას წარმოადგენს გასართობი და თემატური პარკების საქმიანობები: იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია; პროგრამული უზრუნველყოფა.

კომპანიის ფაქტობრივი და რეგისტრირებული მისამართი საქართველო, ქ.ბათუმი,ლევ და მარია კარინსკების ქ. N 1ა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 100%-იან წილს სს სარგ თრაველში კომპანიას არ განუხორციელებია შენატანები შვილობილი კომპანიის კაპიტალში. შესაბამისად, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ერთად როგორც „ფინანსური ანგარიშგება“) ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

2020 წლის 22 სექტემბერს დაარსდა შპს ა ფეი ფეიმენტს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელსაც წარმოადგენს სს ასია სოფთვეარი. შპს ა ფეი ფეიმენტს 2020 წლის განმავლობაში ოპერაციები არ განუხორციელებია.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

მთავრობის შეზღუდვების გამო კომპანიამ შეაჩერა გასართობი პარკების საქმიანობა, თუმცა ამავედროულად გაიზარდა მომხმარებლების რაოდენობა პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით, ამიტომ მენეჯმენტი თვლის, რომ 2021 წელს კომპანია გამოიმუშავებს დაგეგმილ შემოსავალს.

შედეგად, ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ძირითადი საშუალებები

	აპარტა- მენტები	მანქანა დანადგარები	იჯარით აღებული კონტინერის კეთილმოწყობა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება					
31 დეკემბერი 2018	8,917,588	2,251,366	722,045	536,493	12,427,492
შემოსვლა	1,031,734	846,687	44,833	1,357	1,924,611
გასვლა	-	-	-	(1,528)	(1,528)
შიდა ჯგუფური მოძრაობა	-	(153,666)	-	153,666	-
გადაფასების ნამეტი	2,318,959	-	-	-	2,318,959
31 დეკემბერი 2019	12,268,281	2,944,387	766,878	689,988	16,669,534
შემოსვლა	3,503	3,781	-	43,086	50,370
გასვლა	(11,236,547)	(804)	-	(441,589)	(11,678,940)
31 დეკემბერი 2020	1,035,237	2,947,364	766,878	291,485	5,040,964
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2018	(244,109)	(169,509)	(48,552)	(127,285)	(589,455)
ცვეთა	(182,139)	(493,811)	(151,165)	(119,186)	(946,302)
კორექტირება*	40,492	-	-	-	40,492
გასვლა	-	-	-	244	244
31 დეკემბერი 2019	(385,756)	(663,320)	(199,717)	(246,227)	(1,495,020)
ცვეთა	(49,599)	(587,524)	(153,376)	(56,575)	(847,074)
გასვლა	410,932	207	-	203,494	614,633
31 დეკემბერი 2020	(24,423)	(1,250,637)	(353,093)	(99,308)	(1,727,461)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	11,882,525	2,281,067	567,161	443,761	15,174,514
31 დეკემბერი 2020	1,010,814	1,696,727	413,785	192,177	3,313,503

სს ასია სოფთვეარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

5. ინვესტიციები

2020 წლის აპრილში სს ასია სოფთვეარმა გაყიდა სს ჯოი ჰოტელ ბათუმის 100%-იანი წილი 789,600 ლარის ზარალით. მიღებული სახსრებით კი შეიძინა თურქული კომპანია Türkiye Sinai Kalkinma Bankasi AS Stock Price (TSKB)-ის აქციები 10,269,622 ლარის ღირებულებით.

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეული და მასალები	-	41
საქონელი	379,435	1,144,346
სხვა ინვენტარი	-	664
დაუმთავრებელი წარმოება	5,101	20,388
	384,536	1,165,439

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	801,857	321,370
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	5,910
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	2,338
	801,857	329,618

მოთხოვნები არ იყო ვადაგადაცილებული და გაუფასურებული 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	42,679	38,696
ფული საბანკო ანგარიშზე	50,988	254,091
	93,667	292,787

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვალდებულებები რეზიდენტ მომწოდებლებთან	178,781	1,051,731
არარეზიდენტი მომწოდებლები (საქონელი)	1,345,573	1,381,726
არარეზიდენტი მომწოდებლები (მომსახურება)	549,154	409,105
სხვა	1,254	500
	2,074,762	2,843,062

სს ასია სოფთვეარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

10. სხვა ხარჯები

	2020	2019
საგადასახადო ხარჯი	(67,036)	(165,197)
ტრანსპორტის ხარჯი	(32,332)	(39,822)
საკონსულტაციო ხარჯი	(29,006)	(26,356)
რეკლამის ხარჯი	(567)	(23,426)
დაზღვევის ხარჯი	(8,523)	(10,620)
საპროცენტო ხარჯი	-	(9,274)
კომუნიკაციის ხარჯი	(10,066)	(7,781)
ჯარიმის ხარჯი	-	(7,000)
სხვა	(179,776)	(318,185)
	(327,306)	(607,661)

11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელი	სხვა	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	136,267	136,267
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,857,350	200,000	2,057,350
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	6,110	788,917	795,027
კომუნალური ხარჯი	-	8,996	8,996
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	75,903	4,656	80,559
იჯარის ხარჯი	-	189,149	189,149
სხვა საოპერაციო ხარჯები	10,396	109,714	120,110
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტ	158,242	-	158,242

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელი	სხვა	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	56,904	56,904
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,621,979	1,018,612	2,640,591
მიღებული ავანსები	-	1,229,688	1,229,688
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	2,149	106,798	108,947
სხვა ხარჯები	41,109	9,012	50,121

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შეადგენდა 119,125 და 88,625 ლარს.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არამაკორექტირებელი

2021 წლის 28 მაისს სს ასია სოფთეუარმა დაარსა კომპანია შპს ჯოი ფეიმენტ სისტემს სადაც ფლობს 100%-იან წილს. სხვა რაიმე ტიპის მაკორექტირებელ ან არამაკორექტირებელ ოპერაციას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი თარიღისთვის ადგილი არ ჰქონია.

13. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

14. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას.

შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს მშობელი საწარმო. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

იმ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამოწვევის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს. ასევე, კონტროლი იმ შემთხვევაშიც არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარს ან ნახევარზე ნაკლებს, მაგრამ ამასთან:

(ა) საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტის ფლობის უფლებამოსილება განმტკიცებულია სხვა ინვესტირებთან შეთანხმების ძალით;

(ბ) საწარმოს მიერ ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილება განმტკიცებულია წესდებით ან რაიმე შეთანხმებით

(გ) საწარმოს აქვს იმის უფლებამოსილება, რომ დანიშნოს ან გაათავისუფლოს მოცემული საწარმოს დირექტორთა საბჭოს ან სხვა ანალოგიური მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა და ეს საბჭო ან ორგანო აკონტროლებს ამ საწარმოს; ან

14. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) საწარმოს აქვს იმის უფლებამოსილება, რომ ხმის უმრავლესობით ზეგავლენა მოახდინოს მოცემული საწარმოს დირექტორთა საბჭოს ან სხვა ანალოგიური მმართველობითი ორგანოს სხდომებზე და ეს საბჭო ან ორგანო აკონტროლებს ამ საწარმოს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური ოპერაციებისა და მსგავს ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ. თუ საწარმოთა ჯგუფის რომელიმე წევრი ანალოგიური ოპერაციებისა და მსგავს ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ გამოიყენებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისაგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, აუცილებელია მისი ფინანსური ანგარიშგების სათანადოდ კორექტირება, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის.

შვილობილი საწარმოს შემოსავლები და ხარჯები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შემდგომი თარიღიდან იმ თარიღამდე, როდესაც მშობელი საწარმო დაკარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	თურქული ლირა	რუბლი
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233	0.4462	0.044
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	0.4821	0.046

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

14. ძირითადი სააღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	50
მანქანა-დანადგარები	5
სხვა	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების ნამეტი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში `გადაფასების ნამეტის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

14. ძირითადი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

შემოსავალი საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან

საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. კომპანიის მიერ პროგრამული უზრუნველყოფისა და ავიაბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი როდესაც იგი გამოდის მარწმუნებლის როლში, ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო საფუძველზე.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იხერგება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

14. ძირითადი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სააქციო კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი, სანამ ისინი არ მოხვდებიან ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების განმარტებაში. კომპანიის ჩვეულებრივი აქცია კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტი.

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გაიანგარიშება საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის განკუთვნილი მოგების ან ზარალის გაყოფით, მოცემულ პერიოდში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობაზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებულ საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

14. ძირითადი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი